დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109.1092621113**

თარიღი:**30/07/2026**

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის №გ-109.109260238 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 10 ივლისის N1476 განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის №გ-109.109260238 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ამ განკარგულების დანართებით წარმოდგენილი:

ა) „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება;

ბ) „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმება.“

2. განკარგულებას დაემატოს ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმება.“

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 3 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ბოლნისი სულხან საბა ქუჩა N113).

რამიზ რამაზანოვი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

ელექტრონული შტამპი

შეთანხმება N1

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი **16 ივლისი, 2026წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო“), წარმოდგენილი მინისტრის - კახაბერ გულედანის სახით და დმანისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით, ერთად წოდებულნი როგორც მხარეები, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 10 ივლისის N 1476 განკარგულებისა და მხარეებს შორის 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება““) მე-5 მუხლის 5.3. პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით და ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტის:**

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რეაბილიტაციასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა).“

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირების, ელექტროენერგიის მიწოდებისა და წყალმომარაგების მიზნით, ახალ აბონენტად რეგისტრაციასთან, ხოლო აბონენტებად უკვე რეგისტრირებული აღნიშნული დაწესებულებების შემთხვევაში, მითითებულ კომუნალურ მომსახურებებზე, სიმძლავრეების გაზრდის მიზნით დაკავშირებულები საჭიროებების უზრუნველყოფა, ასევე საწვავის, ბრიკეტისა და შეშის შესყიდვა.“

გ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სარგებლობაში არსებული ტერიტორიის/ეზოს კეთილმოწყობა, მათ შორის: ეზოების რეაბილიტაცია, ღობის მოწყობა,

დამხმარე შენობა-ნაგებობების განთავსება და სხვა შესაბამისი სამუშაოები, თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა)“

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
3. ხელშეკრულების სხვა პირობები/დანართები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებასა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის წარმოქმნის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას
4. შეთანხმებიდან გამომდინარე, ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
6. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 3 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

7. **მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები**

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო ს/კ: 204755292	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია ს/ნ: 28928391
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის N10	მისამართი: ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქუჩა N41
კახაბერ გულედანი	**კობა მურადაშვილი**

Kakhaber Guledani 01024009201
Digitally signed by Kakhaber Guledani
Date: 2026.07.16 20:12:19

Koba Muradashvili
Digitally signed by Koba Muradashvili
Date: 2026.07.16 14:34:29 +04'00'